ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) 2013 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილება Soledad Duarte Hueros v Autociba SA and Automóviles Citroën España SA, C-32/12, ECLI:EU:C:2013:637:

მოკლე მიმოხილვა:

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ განიხილა საქმე Soledad Duarte Hueros v Autociba SA, Automóviles Citroën España SA, C-32/12, ECLI:EU:C:2013:637, რომლის თანახმად, ესპანეთის მოქალაქე ქ-ნმა დუარტე უეროსმა კომპანია Autociba-სგან შეიძინა ლუქიანი ავტომობილი, რომელსაც, ფასის გადახდისა და მიწოდების შემდეგ, აღმოაჩნდა ნაკლი. კერძოდ, წვიმის დროს ლუქიდან მანქანის შიდა სივრცეში ჟონავდა წყალი. **საქონლის შეკეთების რამდენიმე წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, ქ-ნმა დუარტე უეროსმა მოითხოვა ავტომობილის შეცვლა, რაზეც მას კომპანიამ უარი განუცხადა.** ამის შემდეგ მყიდველმა სარჩელით მიმართა ესპანეთის პირველი ინსტანციის სასამართლოს და **მოითხოვა ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლა** და კომპანია Autociba-სთვის და კომპანია Citroën España-სთვის, როგორც ავტომობილის მწარმოებლისთვის, ავტომანქანის გასაყიდი ფასის უკან დაბრუნების ვალდებულების სოლიდარულად დაკისრება. პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ რადგან შეუსაბამობა, რომელმაც აღნიშნული დავა გამოიწვია, უმნიშვნელო იყო, **ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლა არ იყო შესაძლებელი დირექტივის 1999/44 მე-3(6) მუხლის შესაბამისად.**

საქმის განმხილველმა ეროვნულმა სასამართლომ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიმართა შეკითხვით: **„უფლებამოსილია თუ არა სასამართლო, საკუთარი ინიციატივით მიანიჭოს მომხმარებელს ფასის სათანადო შემცირების მოთხოვნის უფლება იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი – საქონლის შესაბამისობაში არმოყვანის შემდეგ, იმის გამო, რომ ის არ შეკეთდა საქონლის შეკეთების მრავალჯერადი მოთხოვნის მიუხედავად – ითხოვს მხოლოდ ხელშეკრულებიდან გასვლას, მაგრამ ხელშეკრულებიდან გასვლა არ არის შესაძლებელი შეუსაბამობის უმნიშვნელო ხასიათის გამო?“**

სასამართლომ დაადგინა, რომ დირექტივა 1999/44 უნდა განიმარტოს ისე, რომ **გამოირიცხოს წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობა, რომელიც, მაგალითად, განსახილველ საქმეში, არ აძლევს დავის განმხილველ ეროვნულ სასამართლოს უფლებას, საკუთარი ინიციატივით მიანიჭოს მხარეს ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ფასის სათანადო შემცირების მოთხოვნის უფლება იმ შემთხვევაში, როდესაც მომხმარებელი, რომელსაც ფასის ასეთი შემცირება ეკუთვნის, მას მიმართავს მხოლოდ ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნით, ხოლო ასეთი მოთხოვნა კი არ შეიძლება დაკმაყოფილდეს საქონლის შეუსაბამობის უმნიშვნელო ხასიათის გამო, მაშინაც კი, როდესაც [ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად] მომხმარებელს არ აქვს უფლება, შეცვალოს თავისი პირველადი მოთხოვნა ან ამ მიზნით შეიტანოს ახალი სარჩელი.**

მნიშვნელოვანი ამონარიდი გადაწყვეტილებიდან:

16 [ესპანეთის] სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412(1)-ე მუხლის თანახმად:

„მას შემდეგ, რაც დავის საგანი განისაზღვრება სარჩელში, შესაგებელში და, არსებობის შემთხვევაში, შეგებებულ სარჩელში, მხარეები არ არიან უფლებამოსილნი, შეცვალონ ის შემდგომ ეტაპზე.“

[…]

25 ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ დირექტივის 1999/44 მიზანი, როგორც ეს მისი პრეამბულის პირველ პუნქტშია განსაზღვრული, მომხმარებლის დაცვის მაღალი დონის უზრუნველყოფაა *(იხ. საქმე C 404/06 Quelle [2008] ECR I 2685, პუნქტი 36).*

26 კერძოდ, დირექტივის 1999/44 მე-2(1) მუხლი ავალდებულებს მოვაჭრეს, მომხმარებელს მიაწოდოს ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისი საქონელი.

27 შესაბამისად, ამ დირექტივის მე-3(1) მუხლის თანახმად, მოვაჭრე პასუხისმგებელია მომხმარებლის წინაშე ისეთ ნებისმიერ შეუსაბამობაზე, რომელიც არსებობს საქონლის მიწოდების მომენტში *(იხ. Quelle, პუნქტი 26, და გაერთიანებული საქმეები C 65/09 და C 87/09 Gebr. Weber and Putz [2011] ECR I 5257, პუნქტი 43).*

[…]

28 დირექტივის 1999/44 მე-3(2) მუხლში ჩამოთვლილია უფლებები, რომლებიც შეიძლება მომხმარებელმა გამოიყენოს მოვაჭრის წინააღმდეგ იმ შემთხვევებში, როდესაც მიწოდებული საქონელი ნაკლის მქონეა. პირველ რიგში, დირექტივის 1999/44 მე-3(3) მუხლის თანახმად, მომხმარებელს უფლება აქვს მოითხოვოს საქონლის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობაში მოყვანა. თუ ეს არ არის შესაძლებელი, მას შემდეგ უფლება აქვს, დირექტივის მე-3(5) მუხლის შესაბამისად, მოითხოვოს ფასის შემცირება ან ხელშეკრულებიდან გასვლა *(იხ. Quelle, პუნქტი 27, და Gebr. Weber and Putz, პუნქტი 44).* თუმცა, როგორც **დირექტივის მე-3(6) მუხლიდან ირკვევა, თუ მიწოდებული საქონლის შეუსაბამობა უმნიშვნელოა, მომხმარებელს არ აქვს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება და, ასეთ შემთხვევაში, მას აქვს მხოლოდ სადავო საქონლის ფასის სათანადო შემცირების მოთხოვნის უფლება.**

[…]

30 დირექტივის 1999/44 მე-3 მუხლი, მის მე-11(1) მუხლთან ერთად, **წევრი სახელმწიფოებისგან მოითხოვს, რომ მათ მიიღონ ისეთი ზომები, რომლებიც აუცილებელია მომხმარებლების მიერ თავიანთი უფლებების ეფექტურად განსახორციელებლად უფლებების დაცვის იმ სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით, რომლებიც გათვალისწინებულია საქონლის შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში.** როგორც გენერალურმა ადვოკატმა თავისი დასკვნის 25-ე პუნქტში ასევე აღნიშნა, ეს დირექტივა არ იძლევა რაიმე მითითებას იმ პროცესებთან დაკავშირებით, რომელთა დროსაც არის შესაძლებელი ამ უფლებების სასამართლოში დაცვა.

31 ამრიგად, ევროკავშირის კანონმდებლობის არარსებობის პირობებში, დირექტივის 1999/44 საფუძველზე ფიზიკური პირებისთვის მინიჭებული უფლებების დაცვასთან დაკავშირებული სარჩელების მარეგულირებელი საპროცესო ნორმები წევრი სახელმწიფოების ეროვნული მართლწესრიგის ფარგლებში შედის ამ წევრი სახელმწიფოების *პროცედურული ავტონომიის* პრინციპის საფუძველზე. თუმცა, **ეს ნორმები არ უნდა იყოს იმ ნორმებზე ნაკლებად ხელსაყრელი, რომლებიც არეგულირებენ მსგავს შიდასახელმწიფოებრივი დონის სარჩელებს *(ეკვივალენტობის პრინციპი)* ან ისეთი, რომ პრაქტიკაში შეუძლებელი ან ზედმეტად გართულებული იყოს ევროკავშირის სამართლით მინიჭებული უფლებების განხორციელება *(ეფექტიანობის პრინციპი)*** *(იხ. ამ მიზნით, საქმე C 472/11 Banif Plus Bank [2013] ECR, პუნქტი 26 და ციტირებული სასამართლო პრაქტიკა).*

[…]

36 ამასთან, [ესპანეთის სამოქალაქო საპროცესო] კოდექსის მე-400 მუხლის თანახმად, მოსარჩელეს არ აქვს უფლება, შეიტანოს ახალი სარჩელი გარკვეული მოთხოვნების დასაყენებლად, რომელთა წარდგენაც მას შეეძლო წინა სამართალწარმოებაში, სულ მცირე, ალტერნატიული სარჩელის სახით. ასეთი სარჩელი, ფაქტობრივად, დაუშვებელი იქნებოდა *res judicata* პრინციპის საფუძველზე.

37 ამრიგად, ამ მითითებებიდან გამომდინარეობს, რომ ესპანეთის საპროცესო სისტემის თანახმად, მომხმარებელი, რომელიც იწყებს დავას მხოლოდ საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნით, საბოლოოდ მოკლებულია შესაძლებლობას, ისარგებლოს ამ საქონლის ფასის სათანადო შემცირების მოთხოვნის უფლებით დირექტივის 1999/44 მე-3(5) მუხლის შესაბამისად იმ შემთხვევაში, თუ დავის განმხილველი სასამართლო დაადგენს, რომ ამ საქონლის ნაკლი, ფაქტობრივად, უმნიშვნელოა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი მოთხოვნა შეიცავს ალტერნატიულ სარჩელს ფასის შემცირების მოთხოვნის თაობაზე.

[…]

39 ამ ვითარებაში, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი [ეროვნული] საპროცესო ნორმები შესაძლოა ძირს უთხრიდეს მომხმარებლის დაცვის ეფექტიანობას, რაც ევროკავშირის კანონმდებლობით არის გათვალისწინებული იმდენად, რამდენადაც ეს ნორმები არ აძლევენ ეროვნულ სასამართლოს საშუალებას, თავისი ინიციატივით მიანიჭოს მომხმარებელს საქონლის ფასის სათანადო შემცირების მოთხოვნის უფლება, მაშინაც კი, როდესაც ამ მომხმარებელს არ აქვს [საპროცესო] შესაძლებლობა შეცვალოს თავისი პირველადი მოთხოვნა ან ამ მიზნით შეიტანოს ახალი სარჩელი.

[…]

41 ამ ვითარებაში, როგორც გენერალურმა ადვოკატმა თავისი დასკვნის 31-ე პუნქტში აღნიშნა, უნდა დადგინდეს, რომ ძირითად საქმისწარმოებაში განსახილველი ესპანეთის კანონმდებლობა, როგორც აღმოჩნდა, არ შეესაბამება ეფექტიანობის პრინციპს, იმდენად, რამდენადაც, მომხმარებლების მიერ წამოწყებულ ისეთ დავებში, რომლებშიც მიწოდებული საქონელი არ შეესაბამება ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, ის ზედმეტად ართულებს, თუ შეუძლებელს არ ხდის, მომხმარებელთა იმგვარი დაცვის აღსრულებას, რომლის უზრუნველყოფასაც დირექტივა 1999/44 ისახავს მიზნად.

42 ამის მიუხედავად, **განმხილველი სასამართლოს მოვალეობაა დაადგინოს, თუ რომელი ეროვნული ნორმები გამოიყენება მის მიერ განსახილველ დავაში და თავისი იურისდიქციის ფარგლებში გააკეთოს ყველაფერი, მისი მთლიანი ეროვნული კანონმდებლობის გათვალისწინებით და ეროვნული კანონმდებლობით აღიარებული ინტერპრეტაციის მეთოდების გამოყენებით, რათა უზრუნველყოს დირექტივის 1999/44 მე-3(5) მუხლის სრული ეფექტიანობა და ისეთი შედეგის მიღწევა, რომელიც შეესაბამება ამ დირექტივით დასახულ მიზანს** *(იხ., ამ მიზნით, საქმე C 282/10 Dominguez [2012] ECR, პუნქტი 27 და ციტირებული სასამართლო პრაქტიკა).*

43 ზემოაღნიშნული ყველა მოსაზრების გათვალისწინებით, დასმულ კითხვაზე პასუხი ასეთია: დირექტივა 1999/44 უნდა განიმარტოს ისე, რომ გამოირიცხოს **წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობა, რომელიც, მაგალითად, განსახილველ საქმეში, არ აძლევს დავის განმხილველ ეროვნულ სასამართლოს უფლებას, საკუთარი ინიციატივით მიანიჭოს მხარეს ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ფასის სათანადო შემცირების მოთხოვნის უფლება იმ შემთხვევაში, როდესაც მომხმარებელი, რომელსაც ფასის ასეთი შემცირება ეკუთვნის, მას მიმართავს მხოლოდ ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნით, ხოლო ასეთი მოთხოვნა კი არ შეიძლება დაკმაყოფილდეს საქონლის შეუსაბამობის უმნიშვნელო ხასიათის გამო, მაშინაც კი, როდესაც [ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად] მომხმარებელს არ აქვს უფლება, შეცვალოს თავისი პირველადი მოთხოვნა ან ამ მიზნით შეიტანოს ახალი სარჩელი.**

კანონმდებლობასთან დაახლოების საფუძველი	
ევროკავშირის სამართლებრივი აქტი, რომელთანაც მოხდა ეროვნული ნორმის დაახლოება	ევროპარლამენტისა და საბჭოს 1999 წლის 25 მაისის დირექტივა 1999/44/EC ფართო მოხმარების საქონლის რეალიზაციის გარკვეული ასპექტებისა და მათთან დაკავშირებული გარანტიების შესახებ
ევროკავშირის დებულება	დირექტივის 1999/44/EC მე-2(1) და მე-3 მუხლები
ეროვნული ნორმა, რომლის დაახლოება ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან უკვე მოხდა	„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-მე-16 და მე-17 მუხლები *(სარეგისტრაციო კოდი: 240110010.05.001.020542; 15/12/2023 კონსოლიდირებული ვერსია)*
საკვანძო ტერმინი	**ფასის შემცირების მოთხოვნის უფლება საქონლის შეუსაბამობისას**
CJEU-ს პრეცედენტული სამართალი	2013 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილება Soledad Duarte Hueros v Autociba SA and Automóviles Citroën España SA, C-32/12, ECLI:EU:C:2013:637

ინფორმაცია დამუშავებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტის მიერ, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზის საფუძველზე. ანალიზი განკუთვნილია მხოლოდ საინფორმაციო და საგანმანათლებლო მიზნებისთვის და არ ასახავს რომელიმე ორგანიზაციის, დაწესებულების ან სუბიექტის შეხედულებებს.